ბრძანება:**ბ47. 47242003**
თარიღი:**18/07/2024**

ბრძანება N 72

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.მიმდინარე წლის 26 ივლისს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

1.2. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: მარიტა მგალობლიშვილი

1.3. დაბა ჩოხატაურში მდებარე 204.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.01.23.454) ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით (იჯარა) განკარგვის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.5. დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 6.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.01.21.543) შ.პ.ს. საქართველოს ფოსტა“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლების ფორმით (იჯარა) გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ნაბეღლავის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ ჩხაკაურასთვის ძველი სახელწოდების აღდგენის შესახებ

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 ივნისის N33 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სსიპ ჩაისუბნის საჯარო სკოლისათვის „ნოდარ დუმბაძის სახელობის ჯვარცხმის საჯარო სკოლის“ სახელის მინიჭების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის გაცემის თაობაზე“ ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი